აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 24

09/08/2016 წელი ქ. ბათუმი

„ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 30 ივნისის №12 განკარგულებით დამტკიცებულ უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე პარტიის/ბლოკის, პარტიული სიის ფორმაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. „ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 30 ივნისის №12 განკარგულებით დამტკიცებულ უმაღლეს საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე პარტიის/ბლოკის პარტიული სია (ფორმა №4-07.01.01) შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

პარმენ ჯალაღონია

კომისიის მდივანი

სოფიო კახაძე